წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის ოქმი N2

ქ.წალენჯიხა 11 იანვარი 2017 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გონერ კვარაცხელია

საკრებულოს 28 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 20 დეპუტატი: ვლადიმერ გაბელია, ასმათ კვარაცხელია, დალი კვარაცხელია, ილია გულუა, ანზორ ფიფია, ვახტანგ ქუჩულორია, მერაბ კვარაცხელია, დავით ბელქანია, ლევან ფიფია, ავთანდილ გაბელია, ნესტან გოგოხია, მარინა კალანდია, ივერ კვარაცხელია, ცოტნე მესხია , ელგუჯა მესხია, ბაჩუკი უბილავა, მალხაზ ფიფია, დავით ფიფია, ლევან შელია.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბესიკ ფარცვანია, გამგებლის მოადგილეები გიორგი ლუკავა და თენგიზ ფიფია , წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურების, ა(ა)იპ –ების , საზოგადოების, მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომა დაიწყო: 12:00სთ.
სხდომა დასრულდა: 12:30 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ გონერ კვარაცხელიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.
საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

დღის წესრიგი:

1. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: კორნელ კვარაცხელია, მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

მოისმინეს: 1 „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა კორნელ კვარაცხელიამ.
საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ გ–ნ გ.კვარაცხელიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 17 დეპუტატი, წინააღმდეგი 3 - მარინა კალანდია, ელგუჯა მესხია, ავთანდილ გაბელია) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N1) .

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე: გონერ კვარაცხელია